ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4341175

ნომერი: AR1655157

თარიღი : 14.01.2019

გაცემის თარიღი : 28.01.2019

გაცნობის თარიღი : 29.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ყაზბეგი , N25 -ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 20 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N20-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/017) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/018);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია გონაძე პ/ნ 01024061904
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 4 ბ. 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 14 იანვრის AR1655157 განცხადებით მომართა ნათია გონაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 20 / ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N20-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/017) / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/018) # 01.10.15.010.031 (922 მ2) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და საზ.კვების ობიექტი) აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 2015 წლის 11 ივნისის №1926687 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.11.2014 წ. #1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: სასტუმრო, საზ.კვების ობიექტით. ასევე, 2015 წლის 5 ოქტომბრის №2203612 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა – მრავალფუნქციური კომპლექსი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, კომერციული ობიექტი). ხოლო, 2016 წლის 16 სექტემბრის №2839393 ბრძანებით ისევ შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში და ძველი საკადასტრო გეგმა შეიცვალა ახალი საკადასტრო გეგმით (რეგისტრაციის №882016342835). დაემატა დანართი, განაშენიანების რეგულირების ხაზის დატანით და პირობა: დაცული იქნას მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზი.

ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 1 ივლისის #1637 განკარგულებით ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის #25 (ნაკვ. #10/017), (ნაკვ. #10/018), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.10.15.010.031) განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ1=0,8, კ2=5,9.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა ##01.10.15.010.034; 01.10.15.010.031 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კოდი, კონფიგურაცია და ფართობი. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო კოდის (ს/კ #01.10.15.010.035) (968 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის მერის 2018 წლის 18 დეკემბრის ბ01.011835213 ბრძანებით შევიდა ცვლილება „ქალაქი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 20 ; ვაჟა-ფშაველას გამზირი N20-ის მიმდებარედ; ალ. ყაზბეგის გამზირი N 25, (ნაკვ. 10/017), (ნაკვ. 10/018) არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.010.031) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 1 ივლისის N1637 განკარგულებაში და „ქალაქი თბილისში, ყაზბეგის გამზირი N25-ის მიმდებარედ; ვაჟა-ფშაველას გამზირი N20; ვაჟა-ფშაველას გამზირი N20-ის მიმდებარედ; ალ. ყაზბეგის გამზირი N25, (ნაკვ. 10/017); ალ. ყაზბეგის გამზირი N25, (ნაკვ. 10/018) არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.010.035) განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ-1=0.8, კ-2=5.8.“ აქედან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის № 1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის

26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირედეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.10.15.010.035, ფართობი 968 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #892018650040; რეგისტრაციის თარიღი 25/07/2018 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018910883, რეგისტრაციის თარიღი 22/10/2018 წ.);

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციაპლიტეტის მერის 2018 წლის 18 დეკემბრის №01.011835213 ბრძანება.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №1604848 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2015 წლის 11 ივნისის №1926687, 2015 წლის 5 ოქტომბრის №2203612, 2016 წლის 16 სექტემბრის №2839393 ბრძანებებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.